ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი სახელი, გვარი - არუთუნ აგაბაბიან

არჩევის წესი - მაჟორიტარული

საანგარიშო პერიოდი - 2025 წლის 30.10 -დან 2026 წლის 30.09-მდე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული მოცნება დემოკრატიული საქართველო“ - წევრი

თანამდებობის დასახელება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ - თავმჯდომარის მოადგილე

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია
- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდი - 2025 წლის 01/11 - დან 2026 წლის 01/11-მდე

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია- სხდომების რაოდენობა - 10 დასწრება - 6 (2 საპატიო, შვებულება)

საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია - კომისიის სხდომების რაოდენობა - 8 დასწრება - 4 (საპატიო 2- შვებულება)

საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 17 დასწრება - 14 (2 საპატიო - შვებულება)

საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1. „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2. „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ)“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ძველი შენობა-ნაგებობის აუქციონის წესით გაყიდვა;

4. მერიის ბალანსზე არსებული ძველი ტექნიკის აუქციოინის წესით გაყიდვის შესახებ;

5. ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მოქალაქეებთან შეხვედრის რაოდენობა - 8 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 130;

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები.

1. მინი სტადიონის რეაბილიტაცია-სოფელი სხვილისი
2. გარე განათების დამატება - ზემო სხვილისი
3. შიდა გზების რეაბილიტაცია -სოფელი ივლიტა
4. ხიდის რეაბილიტაცია- სოფელი ივლიტა
5. ახალციხის მუნიცაპალიტეტში მიწის სისტემური/სპორადული რეგისტრაციები;

მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები(მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

1. გარეგანათების დამატება ზემო სხვილისში -დასრულებულია;
2. შიდა გზების რეაბილიტაცია -სოფელ ივლიტაში - შესრულებულია;
3. ხიდის რეაბილიტაცია -სოფელი ივლიტაში - დასრულებულია.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

1. ორგანიზება გავუწიე სარწყავი წყლის წეფერხებული მიწოდების აღმოფხვრას;
2. ორგანიზება გავუწიე მარცვლეული კულტურის აღებას;
3. ორგანიზება გავუწიე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას;
4. დახმარება გავუწიე მოქალაქეებს ახალციხის მუნიცაპალიტეტში მიწის სისტემური/სპორადული რეგისტრაციების განხორციელებაში.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა, თემატურ ტრენინგებზე და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

შევსების თარიღი: 16.10.26

წარდგენის თარიღი: 30.10.26

ხელის მოწერა: